

საქმის დასახელება - იატენკოს საქმე უკრაინის წინააღმდეგ

საჩივრის ნომერი - 75345/01

მოპასუხე სახელმწიფო - უკრაინა

გადაწყვეტილების მიღების თარიღი - 16/05/2012

შედეგი: დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი

საკვანძო სიტყვები:

(მუხლი მე-3) წამების აკრძალვა

(მუხლი მე-3) ქმედითი გამოძიება

მეხუთე სექცია

იატსენკოს საქმე უკრაინის წინააღმდეგ
(CASE OF YATSENKO v. UKRAINE)

(განაცხადი no. 75345/01)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

16 თებერვალი, 2012

საბოლოო

16/05/2012

*გადაწყვეტილება საბოლოო გახდა კონვენციის 44-ე მუხლის მე-2
პუნქტის შესაბამისად. ის შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ
გადასინჯვას*

საქმეზე Yatsenko v. Ukraine

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეხუთე სექცია)
შემდეგი შემადგენლობით:

დინ შპილმანი, პრეზიდენტი,
ელიზაბეტ ფურა,
კარელ იუნგვირტი,
მარკ ვილიგერი,
ანნ პაუერ-ფორდი,
განა იუდკივსკა,
ანდრე პოტოცკი, მოსამართლეები
და კლაუდია ვესტერდიკი, სექციის რეგისტრატორი,

მოითათბირა დახურულ კარს მიღმა 2012 წლის 24 იანვარს და
იმავე დღეს გამოიტანა წინამდებარე გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმე დაიწყო განაცხადით (no. 75345/01) უკრაინის
წინააღმდეგ, რომელიც სასამართლოს წარუდგინა უკრაინის
მოქალაქემ, ბ-ნმა სერგეი ვიქტორის ძე იატსენკომ
(„განმცხადებელი“) 2001 წლის 19 მარტს, ადამიანის

უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის თანახმად.

2. განმცხადებელს, რომელსაც გაუწიეს იურიდიული დახმარება, წარმოადგენდა ბ-ნი ა. ბუშჩენკო, ხარკოვის ადვოკატი. უკრაინის მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა მისი აგენტი, ბ-ნი ი. ზაიცევი.
3. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მას პოლიცია მოეპყრო არასათანადოდ და არ ჩატარებულა ეფექტიანი გამოძიება მისი განაცხადის საპასუხოდ.
4. 2003 წლის 28 ნოემბერს მეორე სექციის პრეზიდენტმა გადაწყვიტა, ეცნობებინა მთავრობისათვის განაცხადის შეტანის შესახებ. შემდეგ განაცხადი განსახილველად გადაეცა სასამართლოს მეხუთე სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). 2004 წლის 30 ნოემბერს სასამართლომ გადაწყვიტა, განეხილა განაცხადის არსებითი მხარეები მის დასაშვებობასთან ერთად (29-ე მუხლი, 1-ლი პუნქტი) და გადადო განაცხადი. 2004 წლის 29 დეკემბერს განმცხადებელს აღმოუჩინეს იურიდიული დახმარება მისი წარდგენისათვის, ინფორმაცია მიაწოდეს ადვოკატის შესახებ, რომელიც წარმოადგენდა განმცხადებელს 2005 წლის 14 თებერვალს. მხარეთა შორის მოსაზრებების გაცვლა დასრულდა 2005 წლის 7 მარტს. 2009 წლის 3 ნოემბერს განმცხადებელმა აცნობა სასამართლოს, რომ სურდა წარედგინა თავისი განაცხადი.

I. ფაქტები

5. განმცხადებელი დაიბადა 1975 წლის 8 ნოემბერს.

A. სისხლის სამართალწარმოება განმცხადებლის წინააღმდეგ

6. 1997 წლის 28 აპრილს პოლიციამ გაჩხრიკა განმცხადებლის ბინა.
7. 1997 წლის 14 მაისს განმცხადებელი დაკითხეს და ბრალი დასდეს გამოძალვაში.
8. 1997 წლის 11 სექტემბერს განმცხადებელი დააკავეს და მიუსაჯეს წინასწარი პატიმრობა.

9. 2000 წლის 24 მაისს ხარკოვის ჩერნოზავოდსკის საოლქო სასამართლომ განმცხადებელს გამომძიებლის მსჯავრდების კვალად გამოუტანა განაჩენი – 9 წელი თავისუფლების აღკვეთა. საქმის სასამართლო განხილვაზე სასამართლომ გამოიყენა მოწმე L.D.M-ის ჩვენება, მიცემული წინასწარი გამოძიებისას. L.D.M-ის მტკიცებულება შეეხებოდა გამომძიებლის ცხრა ეპიზოდთან ერთ-ერთს, რაც მიეწერებოდათ განმცხადებელსა და მის თანამზრახველებს. ის არ შეიცავდა ცნობებს განმცხადებლისა და მისი თანამზრახველების საქმიანობის შესახებ და იყო დამატებითი ინფორმაცია ძირითად მტკიცებულებებზე (მსხვერპლისა და სხვა მოწმეების ჩვენებები, პოლიციის მასალები).
10. 2000 წლის 19 დეკემბერს ხარკოვის რეგიონულმა სასამართლომ ძალაში დატოვა 2000 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება. სასამართლო არ დაეყრდნო L.D.M-ის მტკიცებულებას და დაადასტურა საქმის სასამართლო განხილვაზე დადგენილი დასკვნები და ფაქტების შეფასება. გარდა ამისა, იმავე სასამართლომ უარყო განმცხადებლის განაცხადი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა L.D.M-ის ჩვენების მტკიცებულებად მიღებას, მით უფრო, რომ იგი არ ესწრებოდა საქმის სასამართლო განხილვას. ამასთან, მან აღნიშნა, რომ მტკიცებულებას ჰქონდა დამატებითი ინფორმაციის მნიშვნელობა და მთლიანად შეესაბამებოდა სხვა განხილულ მტკიცებულებებს.
11. 2001 წლის 5 მაისს ხარკოვის რეგიონული სასამართლოს პრეზიდენტის მოადგილემ უარყო განმცხადებლის მოთხოვნა, დაეწყოთ ზედამხედველობა, როგორც დაუსაბუთებელი.

B. განმცხადებლის ადმინისტრაციული დაკავება 1997 წლის 19 აპრილს

12. 1997 წლის 19 აპრილს განმცხადებელი დააპატიმრა პოლიციის ოფიცერმა R.A.A.-მ და მოათავსა მერეფას პოლიციის განყოფილებაში (Merefa Police Station) ადმინისტრაციული დანაშაულის საფუძველზე, რამდენადაც ის იყო ნასვამი და იგინებოდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე. იმავე დღეს, მოგვიანებით, ქ. ხარკოვის ხარკოვის

ოლქის სასამართლომ განმცხადებელს მსჯავრი დასდო ზემოხსენებულ ადმინისტრაციულ დანაშაულში და მიუსაჯა ადმინისტრაციული პატიმრობა 10 დღით.

13. 2005 წლის 27 მაისს ხარკოვის რეგიონული სასამართლოს პრეზიდენტმა გააუქმა ქ. ხარკოვის ხარკოვის ოლქის სასამართლოს 1997 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება (იხ. ზემოთ მე-12 პუნქტი), დაადგინა რა, რომ განმცხადებელს ათდღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა მიესაჯა უსაფუძვლოდ და სასამართლოს დადგენილება იყო დაუსაბუთებელი.

C. განმცხადებლის მიმართ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული მოვლენები და მათი გამოძიება

14. 1997 წლის 18 აპრილს ხარკოვის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის რეგიონული დეპარტამენტის („ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტი“) პოლიციის ოფიცრებმა განმცხადებელი დააკავეს გამოძალვაში მონაწილეობის ეჭვის საფუძველზე. იმავე დღეს, 10:45 სთ-ზე, ოფიცრებმა იგი გადაიყვანეს დეპარტამენტის შენობაში, სადაც დაკითხეს ბ-ნი M-ისთვის გამოძალვის შესახებ.
15. საგამოძიებო ანგარიშის მიხედვით, განმცხადებელმა დატოვა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის შენობა 1997 წლის 18 აპრილს, 14:00 საათზე. ზოგიერთი სხვა ანგარიშის მიხედვით, ის პოლიციის ოფიცერთა ხელში რჩებოდა უფრო გვიანობამდე. პოლიციის ჩანაწერებისა და პოლიციის ოფიცრის R.A.A.-ს ჩვენების მიხედვით, 1997 წლის 19 აპრილს, 2:30 საათზე განმცხადებელი მიიყვანეს მერეფას პოლიციის განყოფილებაში, სადაც ის დააკავეს მცირე ხულიგნობის გამო. ამ განყოფილებაში განმცხადებელი მიიყვანა N.A.V.-მ, რომელმაც იგი მანამდე დაკითხა. პოლიციის ოფიცრმა R.A.A.-მ განმცხადებელი მოათავსა მერეფას პოლიციის განყოფილების პატიმრობის საკანში. მანვე შეადგინა დაწვრილებითი ანგარიში განმცხადებლის ადმინისტრაციული დაპატიმრებისათვის (ამ ანგარიშის მიხედვით, განმცხადებელი იყო მთვრალი და იგინებოდა

საზოგადოებრივ ადგილას 1997 წლის 18 აპრილს, 19:00 საათზე). ამავე ოფიცერმა სთხოვა ქ. ხარკოვის ხარკოვის ოლქის სასამართლოს, განმცხადებლისათვის დაედგინა ადმინისტრაციული პატიმრობა 10 დღის ვადით. 1997 წლის 19 აპრილს მოსამართლემ დააკმაყოფილა ეს თხოვნა (იხ. ზემოთ, მე-12 პუნქტი).

16. 1997 წლის 23 და 25 აპრილს მერეფას პოლიციის განყოფილებაში გამოიძახეს სასწაფო დახმარების მანქანა, რადგან განმცხადებელი უჩიოდა თირკმელების ტკივილს. 1997 წლის 26 აპრილიდან 13 მაისამდე განმცხადებელი მკურნალობდა ხარკოვის რეგიონულ საავადმყოფოში დიაგნოზით: თირკმლის დაზიანება და ქალა-ტვინის ტრავმა. მან კვლავ იმკურნალა იმავე დაზიანებებზე, იმავე საავადმყოფოში, 1997 წლის 20 მაისიდან 4 ივნისამდე და შემდეგ ხარკოვის საქალაქო საავადმყოფოში – 1997 წლის 9 ივნისიდან 8 ივლისამდე. 1997 წლის 14 ივლისიდან 5 აგვისტომდე განმცხადებელი გადიოდა ჰოსპიტალიზებულ მკურნალობას ლიუბოტინის საავადმყოფოში, სადაც დაუდგინეს, რომ ჰქონდა პოსტტრავმული მიოპია. მას მხედველობა უუარესდებოდა 1997 წლის აპრილის შემდეგ.
17. 1997 წლის 5 მაისს განმცხადებელმა აღძრა განაცხადი ხარკოვის რეგიონულ პროკურატურაში („რეგიონული პროკურატურა“) პოლიციის ოფიცრების მხრიდან არასათანადო მოპყრობის გამო. 1997 წლის 3 ივნისს მან დეტალური განაცხადი გაუგზავნა ხარკოვის რეგიონულ პროკურატურას, სადაც ჩიოდა, რომ მას სცემეს პოლიციის ოფიცრებმა, S.O.G.-მ, B.I.V.-მ, B.S.V.-მ, N.A.V.-მ და L.D.V.-მ, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტიდან. წერილობით განაცხადში იგი აღწერდა, რომ ეს ოფიცრები მუშტებს ურტყამდნენ და სცემდნენ სახეში, ლოყებზე, კეფაში, ყურებზე, გულმკერდის არეში, ზურგსა და სხეულის სხვა ნაწილებში. ისინი ასევე აშინებდნენ გაუპატიურებით, უბრძანებდნენ გაშიშვლებას და უგრეხდნენ სათესლეებს. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ იგი დათანხმდა პოლიციის ამ ოფიცრებთან თანამშრომლობას. ამასთან, აღნიშნა, რომ დაკითხვის შემდეგ ოფიცერმა N.A.V.-მ გადაიყვანა მერეფას პოლიციის განყოფილებაში, სადაც ის

იმყოფებოდა ადმინისტრაციულ პატიმრობაში – ხულიგნობისათვის.

18. აღნიშნულ განაცხადთა შედეგად, 1997 წლის 4 ივნისს რეგიონული პროკურატურის ზედამხედველმა პროკურორმა აღძრა სისხლის სამართალწარმოება პოლიციის ოფიცერთა მხრიდან ზიანის მიყენებისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ბრალდებით (სისხლის სამართლის კოდექსის 166-ე მუხლის მე-2 პუნქტი). საქმე გამოძიებისათვის გადაეცა კიევის საოლქო პროკურატურას („საოლქო პროკურატურა“). გამომძიებელმა დაკითხა შესაბამისი პოლიციის ოფიცრები, მოწმეები და თავად განმცხადებელი და ბრძანა სამედიცინო მტკიცებულებების ამოღება. 1997 წლის 13 აგვისტოს გამომძიებელმა ბრძანა, ჩაეტარებინათ განმცხადებლის სასამართლო სამედიცინო შემოწმება, რათა დაედგინათ, მიიღო თუ არა მან რაიმე სახის დაზიანება და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მისი გამომწვევი მიზეზები. შემოწმების შედეგები აისახა 1997 წლის 12 სექტემბრის ანგარიშში, სადაც დადგინდა, რომ განმცხადებელს ჰქონდა ტვინის შერყევა და თირკმლის კანტუზია, რომელიც, სავარაუდოდ, გაჩნდა 1998 წლის 18 აპრილს. ანგარიშში ვერ დადგინდა ამ დაზიანებათა მიზეზი ან რაიმე ტიპის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არასათანადო მოპყრობასა და აღნიშნულ დაზიანებათა შორის. საოლქო პროკურატურა საქმეს იძიებდა 1997 წლის 10 ივლისიდან 1998 წლის 30 იანვრამდე, როცა სისხლის სამართალწარმოება შეწყდა პოლიციის ოფიცერთა ქმედებებში *corpus delicti*-ს არარსებობის გამო.
19. 1997 წლის 2 სექტემბერს ხარკოვის რეგიონული პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დისციპლინური სასჯელი დააკისრა R.A.A.-ს (იხ. ზემოთ, მე-15 პუნქტი), დაადგინა რა, რომ *inter alia*, განმცხადებლის დაკავება 1997 წლის 18 აპრილს იყო უკანონო. კერძოდ, პოლიციის შიდა გამოძიებით დადგინდა, რომ N.A.V. მოქმედებდა R.A.A.-ს მოთხოვნით, შეედგინა დაწვრილებითი ანგარიში განმცხადებლის დაკავებასთან დაკავშირებით, სიმთვრალისა და საზოგადოებრივ ადგილას გინების გამო (იხ. ზემოთ, მე-12 პუნქტი). აქვე აღნიშნულია, რომ R.A.A.-მ ყურადღება არ

მიაქცია იმ დაზიანებებს, რომლებიც განმცხადებელს ჰქონდა დაპატიმრებისას.

20. განმცხადებელი ჩიოდა გამოძიების შეწყვეტის გამო (იხ. ზემოთ, მე-18 პუნქტი) და 1999 წლის 3 მაისს ეს გადაწყვეტილება გააუქმა ხარკოვის საქალაქო სასამართლომ, რომელმაც დაადგინა, რომ სისხლის სამართლის საქმე არასაკმარისად იყო გამოძიებული. საქმე დამატებითი გამოძიებისათვის გადაეგზავნა საოლქო პროკურატურას, რომელმაც 1999 წლის 4 მაისიდან 29 ოქტომბრამდე განახორციელა რამდენიმე საგამოძიებო ღონისძიება. კერძოდ, მოითხოვა საქმესთან დაკავშირებულ სამედიცინო მტკიცებულებათა დამატებითი სასამართლო სამედიცინო შემოწმება. 1999 წლის 14 სექტემბერს სასამართლო სამედიცინო შემოწმებამ დაადგინა, რომ 1997 წლის 18 აპრილის შემთხვევის შემდეგ, განმცხადებელს ჰქონდა ტვინის შერყევა და თირკმლის კანტუზია. 1999 წლის 20 სექტემბერს საოლქო პროკურატურამ აცნობა განმცხადებელს, რომ საქმეში ვერ ჩაიდება პოლიციის ოფიცერთა წინააღმდეგ მისი საჩივრები დაზიანებათა გამო, რადგან განმცხადებელს არ ჰქონდა მსხვერპლის სტატუსი სისხლის სამართლებრივი გამოძიებისას. 1999 წლის 29 ოქტომბერს განმცხადებლის განაცხადთა კვალად აღძრული სამართალწარმოებები შეწყდა, რადგან გამოძიებამ ვერ დაადგინა ეჭვიანილი.
21. 1999 წლის 26 ნოემბერს ხარკოვის საქალაქო სასამართლომ გააუქმა ეს გადაწყვეტილება, რამდენადაც გამოძიება იყო არასრული. მისი რეკომენდაციით, უნდა დადგენილიყო, იყვნენ თუ არა განმცხადებლის დასახელებული პოლიციის ოფიცრები დამნაშავენი ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასა და მისთვის სხეულის დაზიანებაში. 2000 წლის 20 იანვარს საოლქო პროკურატურამ შეწყვიტა სამართალწარმოება იმ საფუძველით, რომ 1997 წლის 18 აპრილს განმცხადებლის დაკითხვაში მონაწილე პოლიციის ოფიცერთა ქმედებებში საკმარისად არ იყო *corpus delicti*.
22. 2000 წლის 6 აპრილს ქ. ხარკოვის კიევის ოლქის სასამართლომ („საოლქო სასამართლო“) შეცვალა 2000 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება, რადგან გამოძიება იყო არასრული. კერძოდ, გამოძიების დასკვნები ეწინააღმდეგება სასამართლო ექსპრეტის დასკვნებს, რომელთა თანახმადაც,

განმცხადებელს ჰქონდა სხეულის დაზიანებები 1997 წლის 18 აპრილის მოვლენების შემდეგ. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლისთვის უნდა მიენიჭებინათ მსხვერპლის სტატუსი. მან აგრეთვე მოითხოვა იმ გარემოებათა შემდგომი გამოძიება, რამაც გამოიწვია განმცხადებლის დაზიანებები.

23. 2000 წლის 12 მაისს საოლქო პროკურატურამ დაიწყო დამატებითი გამოძიება განმცხადებლის პრეტენზიებზე არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. 2000 წლის 30 მაისს, რამდენიმე საგამოძიებო აქტისა და უარის შემდეგ – დაეწყოთ სისხლის სამართალწარმოება პოლიციის ოფიცრის, R.A.A.-ს წინააღმდეგ და განმცხადებლისათვის მიენიჭებინათ მსხვერპლის სტატუსი – სამართალწარმოება შეწყდა იმავე მიზეზით, რითაც 2000 წლის 20 იანვარს.
24. 2000 წლის 10 ივლისს რეგიონულმა პროკურატურამ შეცვალა 2000 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება, დაადგინა რა, რომ 2000 წლის 6 აპრილს მოსამართლის მიერ გაცემული მითითებები არ შეესაბამებოდა მოთხოვნებს და გამოძიება ჩატარდა ზედაპირულად და არასრულად.
25. 2000 წლის 14 ივლისიდან 14 დეკემბრამდე მიმდინარეობდა ახალი გამოძიება. 2000 წლის 2 ოქტომბერს გამოძიება პოლიციის ეჭვმიტანილ ოფიცერთა მიმართ შეწყდა მათ ქმედებებში *corpus delicti*-ს არარსებობის გამო. საქმე გადაეცა პოლიციის საოლქო დეპარტამენტს „სხეულის მცირე დაზიანებათა“ ბრალდების შემდგომი გამოძიებისათვის (სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლი). გამოძიებამ კვლავ უარი უთხრა განმცხადებელს მსხვერპლის სტატუსის მინიჭებაზე. 2000 წლის 14 დეკემბერს პოლიციის საოლქო დეპარტამენტმა შეწყვიტა სამართალწარმოება, რადგან დაადგინა, რომ არ იყო დანაშაულის მტკიცებულებები.
26. 2001 წლის 2 აპრილს რეგიონულმა პროკურატურამ გააუქმა 2000 წლის 14 სექტემბრის, 2 ოქტომბრისა და 14 დეკემბრის გადაწყვეტილებები და საქმე გადასცა საოლქო პროკურატურას შემდგომი გამოძიებისათვის. კერძოდ, მან დაადგინა, რომ ზემოხსენებული საგამოძიებო გადაწყვეტილებები იყო უკანონო, ხოლო გამოძიება ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასა და განმცხადებლისათვის სხეულის დაზიანებათა მიყენებაზე იყო არასრული და არაადეკვატური.

27. გამოძიება განახლდა 2001 წლის 7 აპრილს და გაგრძელდა 2001 წლის აგვისტომდე. გამოძიების მსვლელობისას განმცხადებელს მიანიჭეს მსხვერპლის სტატუსი, მაგრამ სამართალწარმოება პოლიციის ოფიცერთა მიმართ კვლავ შეწყდა *corpus delicti*-ს ნაკლებობის გამო და საფუძველი სისხლის სამართალწარმოების დასაწყებად გადაკვალიფიცირდა. საქმე კვლავ გადაეცა პოლიციის საოლქო დეპარტამენტს, სადაც სხეულის დაზიანებათა გარშემო კიდევ ერთი გამოძიება შეწყდა 2001 წლის 12 სექტემბერს, რამდენადაც არ არსებობდა სისხლის სამართლის დანაშაულის მტკიცებულებები. 2002 წლის 14 და 19 იანვარს რეგიონულმა პროკურატურამ გააუქმა გამოძიების ყველა გადაწყვეტილება, რადგან გამოძიება იყო არასრული და მისი დასკვნები – გაუაზრებელი. საქმე კვლავ გადაეცა საოლქო პროკურატურას ხელახალი გამოძიებისათვის.
28. ამ გადაცემის შემდეგ სამართალწარმოებამ გასტანა 2002 წლის 1-დან 27 თებერვლამდე, როცა საოლქო პროკურატურამ კვლავ შეწყვიტა სამართალწარმოება პოლიციის ოფიცრების მიმართ, რადგან დაადგინა, რომ არ იყო მტკიცებულებები ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასა ან განმცხადებლისთვის დაზიანებათა უკანონოდ მიყენებაზე. მან აგრეთვე გადაწყვიტა, დაეწყო სისხლის სამართლებრივი გამოძიება განმცხადებლის სხეულის დაზიანებების შესახებ და საქმე შემდგომი გამოძიებისათვის გადასცა პოლიციის საოლქო დეპარტამენტს.
29. საქმის შემდგომი გამოძიების მიზნით გადაცემის მერე, 2002 წლის 6 მარტს, პოლიციის საოლქო დეპარტამენტის გამომძიებელმა დაიწყო სისხლის სამართლებრივი გამოძიება განმცხადებლის სხეულის მსუბუქ დაზიანებათა გამო. 2002 წლის 23 აგვისტოს გამოძიებამ დაადგინა, რომ არ არსებობს მტკიცებულებები სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, რომლის შედეგიც იყო განმცხადებლის სხეულის დაზიანება. მან შეწყვიტა სამართალწარმოება სისხლის სამართლის დანაშაულის მტკიცებულებათა ნაკლებობის გამო.
30. 2002 წლის 5 ნოემბერს რეგიონულმა პროკურატურამ გააუქმა 2002 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილება, რადგან გამოძიება იყო არაადეკვატური და არასრული. სამართალწარმოებები

კვლავ ხელახლა დაიწყო პოლიციის საოლქო დეპარტამენტმა 2002 წლის 28 ნოემბერს.

31. 2002 წლის 9 დეკემბერს პოლიციის საოლქო დეპარტამენტის გამომძიებელმა საოლქო სასამართლოს წარუდგინა განაცხადი მოთხოვნით, რომ შეეწყვიტათ სამართალწარმოებები სხეულის დაზიანების ბრალდებაზე – იმის გათვალისწინებით, რომ ამოიწურა ხანდაზმულობის ვადა. 2002 წლის 19 დეკემბერს ამ საფუძვლით სასამართლომ გადაწყვიტა, შეეწყვიტა სამართალწარმოებები.
32. 2003 წლის 29 იანვარს საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა განმცხადებლის მამის მოთხოვნა, გაეზარდათ აპელაციაზე წარდგენის პერიოდი, რადგან არც მისთვის და არც განმცხადებლისათვის არასოდეს უცნობებიათ საქმის სასამართლო განხილვის შესახებ. განმცხადებელმა წარადგინა სააპელაციო განაცხადი 2002 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით.
33. 2003 წლის 22 აპრილს ხარკოვის რეგიონულმა სააპელაციო სასამართლომ გააუქმა 2002 წლის 19 დეკემბრის სადავო გადაწყვეტილება. კერძოდ, მან დაადგინა: პოლიციის დეპარტამენტმა და სასამართლომ ვერ უზრუნველყვეს, რომ განმცხადებელს ჰქონოდა შესაძლებლობა, თვად გასცნობოდა საქმის მასალებს მათ სასამართლოში წარდგენამდე. მან საქმე ხელახალი მოსმენისათვის გადასცა საოლქო სასამართლოს, რომელმაც 2003 წლის 30 მაისს მოითხოვა დამატებითი გამოძიება განმცხადებლის სხეულის დაზიანებათა გამო.
34. ახალი დამატებითი გამოძიება გაგრძელდა 2003 წლის 27 ივნისიდან 10 ოქტომბრამდე, როცა პოლიციის საოლქო დეპარტამენტმა შეწყვიტა სამართალწარმოებები საქმეში *corpus delicti*-ს ნაკლებობის გამო.
35. 2003 წლის 1 დეკემბერს რეგიონულმა პროკურატურამ გააუქმა 2003 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება, როგორც უკანონო. მან საქმე გადასცა საოლქო პროკურატურას ხელახალი წინასასამართლო გამოძიებისათვის. 2004 წლის 13 იანვარს გამოძიებამ განაცხადა, რომ განმცხადებელი გახდა სხეულის დაზიანებათა მსხვერპლი, რომლებიც მას მიაყენა უცნობმა პირმა 1997 წლის 18 აპრილს. გამომძიებელმა დაკითხა განმცხადებელი და ითხოვა დამატებითი სასამართლო სამედიცინო შემოწმება მისი დაზიანებების

გარემოებათა ირგვლივ. განმცხადებლის 2009 წლის 3 ნოემბრით დათარიღებული ბოლო წერილიდან არ ჩანს, დასრულდა თუ არა სამართალწარმოებები.

სამართალი

I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

36. განმცხადებელი ჩიოდა, რომ პოლიციის ოფიცრები მას არასათანადოდ მოეპყრნენ, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით. გარდა ამისა, იგი ჩიოდა, რომ ეროვნული ხელისუფლებების მიერ მის დანაშაულებზე ჩატარებული გამოძიება იყო არაადეკვატური. მე-3 მუხლი ითვალისწინებს, რომ

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას, ან დასჯას.“

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას, ან დასჯას.“

A. დაშვებადობა

37. მთავრობა აცხადებდა, რომ განმცხადებლის საჩივრები პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე *ratione temporis* არ შეესაბამებოდა კონვენციის დებულებებს. თუმცა, მათ სადავო არ გაუხდიათ იმ საჩივრების სასამართლო განხილვაზე დასაშვებობა, რომლებიც შეეხებოდა აღნიშნულ დარღვევათა ეფექტიანი გამოძიების ნაკლებობას.

38. განმცხადებელი დაეთანხმა ამ წინააღმდეგობას და მსვლელობა მისცა განაცხადს კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურულ დარღვევაზე.

39. რაც შეეხება არსებით მხარეს განმცხადებლის განაცხადისა, რომელიც უკავშირდება კონვენციის მე-3 მუხლს,

სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობის პრეტენზია მისაღება და განაცხადი უკუგდებული უნდა იქნას, როგორც შეუთავსებელი *ratione temporis*, რადგან შეეხებოდა 1997 წლის 11 სექტემბრამდე მომხდარ მოვლენებს (იხ. აგრეთვე უახლესი გადაწყვეტილება: *Isayev v. Ukraine* (dec.), no. 28827/02, 13 თებერვალი, 2007).

40. რაც შეეხება განაცხადს კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული მხარის დარღვევაზე, სასამართლო აღნიშნავს, რომ მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტი უნდა განვიხილოთ, როგორც ვალდებულება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა სამართალწარმოებათა მნიშვნელოვანი წილი ჩატარდა ან უნდა ჩატარებულიყო კრიტიკული თარიღის დადგომამდე (იხ. *mutatis mutandis*, *Šilih v. Slovenia* [GC], no. 71463/01, § 159, 9 აპრილი 2009; *Lyubov Efimenko v. Ukraine*, no. 75726/01, § 63, 25 ნოემბერი 2010). გარდა ამისა, იგი მიიჩნევს, რომ განაცხადი კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული მხარის საფუძველზე არ არის ამკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის §3(a)-ს მნიშვნელობით. ის აგრეთვე აღნიშნავს, რომ განაცხადი არ შეიძლება დაუშვებლად გამოცხადდეს რაიმე სხვა საფუძველით. ამდენად, ის შეიძლება გამოცხადდეს დაშვებულად.

B. არსებითი მხარეები

1. მხარეთა არგუმენტები

41. განმცხადებელი აცხადებდა, რომ გამოძიება არასათანადო მოპყრობის ბრალდებაზე არ იყო ეფექტიანი და ჰქონდა ბევრი ხარვეზი. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ გამოძიება დაიწყო შემთხვევიდან სამი თვის მერე; საგამოძიებო ხელისუფლება არ აქტიურობდა ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში; გამოძიებლები მეტ ყურადღებას აქცევდნენ პოლიციიდან მიღებულ მოწმეთა საჩივრებს და არ იყვნენ ობიექტურნი და მიუკერძოებელნი; განმცხადებელი მსხვერპლად აღიარეს მხოლოდ 2004 წლის 13 იანვარს (იხ. ზემოთ, 35-ე პუნქტი) და გამოძიების შედეგები არაერთხელ განიხილეს იერარქიულად ზემდგომმა პროკურორებმა, რომლებიც ერთმანეთის

მიყოლებით აუქმებდნენ გადაწყვეტილებებს და კიდევ და კიდევ გადასცემდნენ საქმეს ხელახალი გამოძიებისათვის, რამდენადაც ის იყო არასრული.

42. მთავრობა არ დაეთანხმა და განაცხადა, რომ გამოძიების არაერთხელ შეწყვეტისა და ხელახლა დაწყების მიუხედავად, ის მაინც უნდა ჩაითვალოს ეფექტიანად. გამოძიება შეესაბამება კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს.

2. სასამართლოს შეფასება

43. სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ როცა პირი აღძრავს დასაბუთებულ სასარჩელო მოთხოვნას, რომ მას სახელმწიფო ხელისუფლება არასათანადოდ მოეპყრო მე-3 მუხლის დარღვევით, ეს დებულება ირიბად მოითხოვს, ჩატარდეს ეფექტიანი ოფიციალური გამოძიება, რომელიც პრინციპულად შეძლებს საქმის ფაქტების დადგენას და პასუხისმგებელ პირთა გამოვლენასა და დასჯას. ეს არის არა შედეგის ვალდებულება, არამედ ერთ-ერთი საშუალების. ხელისუფლებამ უნდა გადადგას მისთვის ხელმისაწვდომი გონივრული ნაბიჯები, რომ დაიცვას შემთხვევასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, მათ შორის, *inter alia*, თვითმხილველების ჩვენებები, სასამართლო ექსპერტიზის მტკიცებულებები და სხვა. გამოძიების ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც შეაფერხებს მის შესაძლებლობებს, დაადგინოს დაზიანების მიზეზები ან პასუხისმგებელ პირთა ვინაობა, შექმნის ამ სტანდარტის დარღვევის რისკს. ამ კონტექსტში მოექცევა დაუყოვნებლობისა და გონივრული დაჩქარების მოთხოვნაც (იხ. სხვა გადაწყვეტილებებთან ერთად, *Assenov and Others v. Bulgaria*, 28 ოქტომბერი, 1998, *Reports of Judgments and Decisions* 1998-VIII, §§ 102 et seq.). ხშირად ყურადღება ექცევა გამოძიების დაწყების თარიღს, დაგვიანებას განაცხადთა მიღებისას (იხ. *Timurtaş v. Turkey*, no. 23531/94, § 89, ECHR 2000-VI, და *Tekin v. Turkey*, 9 ივნისი, 1998, *Reports* 1998-IV, § 67), ასევე, საწყისი გამოძიების დასრულებაზე დახარჯულ დროს (იხ. *Indelicato v. Italy*, no. 31143/96, § 37, 18 ოქტომბერი, 2001). აგრეთვე აუცილებელია გამოძიებას ან მის შედეგებზე საზოგადოებრივი კონტროლის ელემენტთა სათანადო ხარისხით არსებობა იმისათვის, რომ

დაცული იყოს ანგარიშვალდებულების პრინციპი პრაქტიკასა და თეორიაში. საზოგადოებრივი კონტროლი, შესაძლოა, განსხვავდებოდეს სხვადასხვა შემთხვევაში. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, მსხვერპლის ჩართულობის თვალსაზრისით, საზოგადოებრივი კონტროლის სათანადო ხარისხის უზრუნველსაყოფად, საჭიროა მსხვერპლის ჩართვა სამართალწარმოებაში იმ მოცულობით, რაც აუცილებელია მისი სამართლებრივი ინტერესების დასაცავად (*Tahsin Acar v. Turkey* [GC], no. 26307/95, § 225, ECHR 2004-III).

44. უბრუნდება რა წინამდებარე საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ სისხლის სამართალწარმოება განმცხადებლის ბრალდების ირგვლივ პოლიციის ოფიცერთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ დაიწყო 1997 წლის 4 ივნისს. სასამართლო შეახსენებს, რომ ეს მოვლენები სცდება მისი კომპეტენციის ფარგლებს *ratione temporis*, თუმცა, გასათვალისწინებელია, რათა მთლიანობაში შეფასდეს კონტექსტი და ვითარება (იხ. *mutatis mutandis, Milanović v. Serbia*, no. 44614/07, § 78, 14 დეკემბერი, 2010). კერძოდ, 1997 წლის 4 ივნისიდან 11 სექტემბრამდე გამოძიება გაგრძელდა მხოლოდ სამ თვესა და რვა დღეს ისე, რომ ხელისუფლებას არ გადაუდგამს მნიშვნელოვანი პროცედურული ნაბიჯები (იხ. ზემოთ, პუნქტები 14-18). ერთადერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო სასამართლო სამედიცინო შემოწმება, რომელიც მოითხოვეს მხოლოდ 1997 წლის 13 აგვისტოს (შემთხვევის დღიდან სამი თვისა და ცხრა დღის შემდეგ) და რომელიც დასრულდა 1997 წლის 12 სექტემბერს, შესაბამისი ანგარიშით.
45. რაც შეეხება მოვლენებს 1997 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, სასამართლო შენიშნავს, რომ გამოძიება განმცხადებლისადმი არასათანადო მოპყრობის ბრალდების ირგვლივ გაგრძელდა 1998 წლის 30 იანვრამდე ისე, რომ შეწყდა სისხლის სამართალწარმოება *corpus delicti*-ს არარსებობის მოტივით (იხ. ზემოთ, პუნქტი 18). გადაწყვეტილება სამართალწარმოების შეჩერების შესახებ გაუქმდა 1999 წლის 3 მაისს იმის გამო, რომ განმცხადებლის ბრალდებები არ გამოიძიეს საკმარისად (იხ. ზემოთ, პუნქტი 20). თუმცა, მომდევნო სამართალწარმოებები შეწყდა იმიტომ, რომ ვერ დადგინდა ეჭვმიტანილი (იხ. ზემოთ, პუნქტი 20). ისინი განახლდა ერთი თვის შემდეგ, 1999 წლის 26 ნოემბერს, მაგრამ

შეწყდა 1999 წლის 20 იანვარს იმავე საფუძველზე, რაზეც მანამდე, კერძოდ, პოლიციის ოფიცერთა ქცევაში *corpus delicti-ს* ნაკლებობის გამო (იხ. ზემოთ, პუნქტი 21). მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს 2000 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილების შემდეგ, როცა კიდევ ერთხელ დადგინდა, რომ გამოძიება იყო არასრული, სამართალწარმოება ისევ განახლდა 2000 წლის 12 მაისს. 2000 წლის 30 მაისს ის კვლავ შეწყდა იმავე მიზეზით, რომელიც მანამდე გააკრიტიკეს პირველი ინსტანციის სასამართლომ და პროკურატურამ (იხ. ზემოთ, პუნქტი 23). მოგვიანებით, 2000 წლის 10 ივლისს გამოძიება ხელახლა დაიწყო და შეწყდა 2000 წლის 14 დეკემბერს, კვლავ იმის გამო, რომ არ იყო სისხლის სამართლის დანაშაულის მტკიცებულებები (იხ. ზემოთ, პუნქტი 25). ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართალწარმოებათა შეწყვეტა არასაკმარისი და არასათანადო გამოძიების გამო არის შედეგი ხარვეზებისა საწყის გამოძიებაში, რომელიც განმცხადებლის საჩივრის საფუძველზე დაიწყო (იხ. ზემოთ, პუნქტი 44).

46. მომდევნო გადაწყვეტილებები სისხლის სამართლებრივი გამოძიების შეწყვეტისა და გამოძიების შედეგების გაუქმების შესახებ მიღებულია 2001 წლის აგვისტოდან 2004 წლის იანვრამდე, ერთი და იმავე საგამოძიებო დასკვნების საფუძველზე – პოლიციის ოფიცრების ქმედებებში *corpus delicti-ს* ნაკლებობა – და ამ გადაწყვეტილებების გაუქმებასაც ერთი და იგივე დასაბუთება აქვს (იხ. ზემოთ, პუნქტები 27-34). კერძოდ, გამოძიება განახლდა 2001 წლის 7 აპრილს და გაგრძელდა 2001 წლის აგვისტომდე, როცა ის კვლავ შეწყდა *corpus delicti-ს* ნაკლებობის გამო და ახალი სისხლის სამართალწარმოების საფუძველი გადაკვალიფიცირდა (იხ. ზემოთ, პუნქტი 27). 2007 წლის 14 და 19 იანვარს გამოძიებასთან დაკავშირებული ყველა მანამდე მიღებული გადაწყვეტილება გააუქმა რეგიონულმა პროკურატურამ და განახლების შემდეგ გამოძიება გაგრძელდა 2002 წლის 1-დან 27 თებერვლამდე, როცა საოლქო პროკურატურამ კვლავ შეწყვიტა სამართალწარმოება პოლიციის ოფიცრების წინააღმდეგ, რადგან დაადგინა, რომ არ არსებობდა ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა ან განმცხადებლისათვის სხეულის უკანონოდ დაზიანების

დამადასტურებელი მტკიცებულებები (იხ. ზემოთ, პუნქტი 29). სამართალწარმოება კვლავ განახლდა 2002 წლის 28 ნოემბერს და 2002 წლის 19 დეკემბერს სასამართლომ შეწყვიტა სამართალწარმოება სხეულის დაზიანების ბრალდებაზე – იმის გათვალისწინებით, რომ ამოიწურა ხანდაზმულობის ვადა (იხ. ზემოთ 31-ე პუნქტი). 2003 წლის 10 ოქტომბერს, სააპელაციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი განხილვის შემდეგ, მოითხოვეს საქმის ახალი, დამატებითი გამოძიება, რაც გაგრძელდა 2003 წლის 27 ივნისიდან 10 ოქტომბრამდე და სამართალწარმოება კვლავ შეწყდა *corpus delicti*-ს ნაკლებობის გამო (იხ. ზემოთ პუნქტები 33-34). აქედან გამომდინარე, სასამართლო აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილებები გამოძიების შეწყვეტის შესახებ მუდმივად უქმდებოდა და სამართალწარმოებები კვლავ და კვლავ იწყებოდა სათანადო დასკვნების არარსებობის გამო და სერიოზული უზუსტობების მიზეზით – გამოძიების წარმართვისას – რაც დაადგინეს იერარქიულად მაღლა მდგომმა პროკურორებმა და ორი ინსტანციის სასამართლოებმა, სულ ცოტა, ცხრა შემთხვევაში (იხ. ზემოთ პუნქტები 20-22, 24, 16-17, 30, 33 და 35).

47. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ხელისუფლებას ამდენივე დრო დასჭირდა განმცხადებლის სავარაუდო არასათანადო მოპყრობის მსხვერპლად ცნობისათვის, რაც საშუალებას მისცემდა მას, ეფექტიანად ჩართულიყო გამოძიების პროცესში (იხ. *mutatis mutandis, Sergey Shevchenko v. Ukraine*, no. 32478/02, § 74, 4 აპრილი, 2006). გარდა ამისა, იგი აღნიშნავს, რომ 2004 წლის 13 იანვარს, იმ დღეს, როცა განმცხადებელი გამოცხადდა სხეულის დაზიანებათა მსხვერპლად, სამართალწარმოება კიდევ ლოდინის რეჟიმში იყო – 6 წელიწადსა და 7 თვეზე მეტხანს, ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების სტადიაზე (იხ. ზემოთ პუნქტი 35).
48. ამასთან, სასამართლო ეყრდნობა მთავრობის წარმოდგენილ არგუმენტაციას (2004 წლის 27 თებერვალი) და გამოთქვამს წუხილს სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. სადავო არ იყო, რომ 2004 წლისათვის სამართალწარმოება ჯერ კიდევ არ გახლდათ დასრულებული, გამოძიება არასრული იყო, და ეს 7 წლის შემდეგ უკრაინაში კონვენციის ძალაში შესვლიდან. სასამართლო მიიჩნევს, რომ

წინამდებარე საქმე მსგავსია უკრაინის წინააღმდეგ გამოტანილი სხვა გადაწყვეტილებებისა, სადაც უმაღლვე დადგინდა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული მხარის დარღვევა, რამდენადაც შესაბამისი გამოძიება დაიწყო არსებითი დაგვიანებით, დაგვიანებით ჩატარდა მსხვერპლის სამედიცინო შემოწმებაც და გამოძიება არაერთხელ ხელახლა დაიწყო იმის გამო, რომ საგამოძიებო ხელისუფლებამ ვერ მოახერხა, ადეკვატურად დაედგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სერიოზული შეცდომები დაუშვა გამოძიების წარმართვისას, რასაც თავად ეროვნული ხელისუფლება აღიარებდა, თანაც, არაერთხელ (იხ. სხვა გადაწყვეტილებებთან ერთად, *Davydov and Others v. Ukraine*, nos. 17674/02 და 39081/02, § 162, 1 ივლისი, 2010; *Kucheruk v. Ukraine*, no. 2570/04, § 162, ECHR 2007-X; *Oleksiy Mykhaylovych Zakharkin v. Ukraine*, no. 1727/04, §§ 68-75, 24 ივნისი, 2010; *Lotarev v. Ukraine*, no. 29447/04, §§ 89-90, 8 აპრილი, 2010; და *Kozinets v. Ukraine*, no. 75520/01, §§ 62-64, 6 დეკემბერი, 2007). სასამართლო წინამდებარე საქმეში ვერ ხედავს მიზეზს, რომ გადაუხვიოს ზემოთ მოყვანილ დასაბუთებას, მის წინანდელ პრეცედენტულ სამართალსა და დასკვნებს მსგავს საქმეებში. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, არ არის აუცილებელი სამართალწარმოების შემდგომი მიმართულების განხილვა (იხ. ზემოთ პუნქტები 4-35).

49. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ დაირღვა პროცედურული ვალდებულებები კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად – იმ მხრივ, რომ განმცხადებლის საჩივრები მის მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ არ გამოიძიეს დაუყოვნებლივ და ეფექტიანად.

II. სხვა საჩივრები

50. განმცხადებელი ჩიოდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-8 მუხლის შესაბამისად, რომ მისი ადმინისტრაციული დაპატიმრება და ბინის ჩხრეკა 1997 წლის აპრილში იყო უკანონო. მან საჩივარი აღძრა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის b და d ქვეპუნქტების შესაბამისად, სადაც აპროტესტებდა, რომ დაირღვა მისი უფლება, მომზადებულიყო საქმის მოსმენისათვის, სანამ რეგიონული

სასამართლო დაადგენდა დარღვევას (იხ. ზემოთ პუნქტები 9-10) და მან ვერ შეძლო დაეკითხა ერთ-ერთი მოწმე საქმეში.

51. განმცხადებლის არგუმენტაციის გათვალისწინებით, მთელი იმ მასალის შუქზე, რაც ხელთ ჰქონდა, სასამართლო მიიჩნევს, რომ რა დონეზეც ხვდება გასაჩივრებული საკითხები მისი კომპეტენციის ფარგლებში, იგი ვერ ხედავს კონვენციაში დდგენილ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის რაიმე გამოვლენას.
52. აქედან გამომდინარე, საჩივარის ეს ნაწილი უნდა გამოცხადდეს დაუშვებლად, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 მუხლის a ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის მიხედვით.

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება.

53. კონვენციის 41-ე მუხლი ითვალისწინებს:

„ თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.

54. განმცხადებელი ითხოვდა 25,000 ევროს (ევრო) არამატერიალური ზიანისათვის. ის ასევე ითხოვდა 234 უკრაინულ გრივნას (UAH) (დაახლოებით, 40 ევრო) იმ ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად, რაც მან გაიღო სასამართლოს წინაშე.
55. მთავრობამ განაცხადა, რომ ეს მოთხოვნა უკუგდებული უნდა იქნას. მას არ გაუკეთებია კომენტარი ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურებაზე.
56. სასამართლომ, გაითვალისწინა რა საქმის გარემოებანი მთლიანობაში და იმსჯელა რა სამართლიან საწყისებზე, განმცხადებელს მიაკუთვნა 6,000 ევრო არამატერიალური ზიანისათვის. მან ასევე დააკმაყოფილა განმცხადებლის საჩივარი სასამართლოში სამართალწარმოებისათვის დახარჯულ თანხებზე.
57. სასამართლო შესაფერისად მიიჩნევს, რომ საურავი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ

დადგენილი მინიმალური ნიხრით, რასაც უნდა დაემატოს სამი პროცენტი.

ხსენებული მიზნებიდან გამომდინარე, სასამართლომ ერთხმად

1. გამოაცხადა საჩივრები კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად არასათანადო მოპყრობის ბრალდების არასაკმარისად გამოძიებაზე – არსებით განხილვაზე დასაშვებად, და საჩივარის დანარჩენი ნაწილი – დაუშვებლად;
2. დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული მხარე;
3. დაადგინა
 - (a) კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოპასუხე სახელმწიფომ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან სამი თვის განმავლობაში უნდა გადაუხადოს განმცხადებელს 6,000 ევრო (ექვსი ათასი ევრო) არამატერიალური ზიანისათვის და 40 ევრო (ორმოცი ევრო) ხარჯებისა და გაწეული დანახარჯებისათვის, პლუს ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება ეს თანხა დაიბეგროს უკრაინულ გრივნებში, გადახდის დღეს არსებული კურსით;
 - (b) ზემოხსენებული 3-თვიანი ვადის გასვლის შემდგომ გადახდის დღემდე საურავი გადახდილი უნდა იყოს იმ მოცულობით, რაც უტოლდება ევროპული ბანკის სესხისათვის განკუთვნილ მინიმალურ პროცენტს, რომელსაც უნდა დაემატოს სამპროცენტოანი განაკვეთი;
4. უარყოფს განმცხადებლის სხვა პრეტენზიებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით გაცხადებულია 2012 წლის 16 თებერვალს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

კლაუდია ვესტერდიკი
რეგისტრატორი

დინ შპილმანი
თავმჯდომარე

